# საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

# MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030173110094815

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge


**№ 01/99801** **25 / დეკემბერი / 2015 წ.**

სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარეს
ქალბატონ ეკატერინე სისაურს

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსულ თქვენს N04/60568 კორესპონდენციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ, ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს („გამყიდველი“), შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს („სამინისტროს“) და, მეორე მხრივ, მზღვეველ კომპანიებს („მყიდველი“) შორის გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებების თანახმად, „მყიდველებმა“ იკისრეს ვალდებულება, უზრუნველყონ ამავე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ბაზისური სამედიცინო სერვისები, ხელშეკრულებებით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტ(ებ)ში, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან შვიდი წლის განმავლობაში, ხელშეკრულებებით დადგენილი სპეციფიური პირობების გათვალისწინებითა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით.

იმისათვის, რომ ვალდებულებით განსაზღვრული სერვისების მიწოდება ჩაითვალოს შესრულებულად, სერვისის მიმწოდებელი, ხელშეკრულებით განსაზღვრული ბაზისური სერვისების წარმოების ვადის ფარგლებში, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) პირველ რიგში, უნდა გააჩნდეს განსაზღვრული სერვისის წარმოების უფლება, რისთვისაც, საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისად, უნდა ჰქონდეს:

- ან სტაციონარული დაწესებულების ნებართვა და თუ საჭიროა, შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სანებართვო დანართი;
- ან საქმიანობის ლიცენზია;
- ან შეტყობინება მაღალი რისკის შემცველი ამბულატორიული საქმიანობის წარმოების თაობაზე.

თუ წერილის დანართებში (NN1-9) აღნიშნულია ლიცენზიის, ნებართვის დანართის ან მაღალი რისკის ამბულატორიულ საქმიანობაზე შეტყობინების არარსებობა, ნიშნავს, რომ არ დასტურდება „მყიდველის“ მიერ შესაბამისი ბაზისური სერვისების შესრულების ლეგალური საფუძვლები.

აღნიშნული საკითხი აღარ განიხილება, თუ წარმოებული ბაზისური სერვისი არ საჭიროებს ამგვარი სახის საქმიანობის უფლებას.

ბ) ,,ა“ პუნქტში მითითებული უფლებამოსილების მქონე სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, უწყვეტად უნდა ახდენდეს ბაზისური სერვისების ნუსხით გათვალისწინებულ მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულებაში მითითებულ მუნიციპალიტეტ(ებ)ში.

რამდენადაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან ფლობდნენ ინფორმაციას ზემოაღნიშნული სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული სერვისების თაობაზე, თქვენთვის წარმოდგენილი მასალა ეყრდნობა მათ მიერ მოწოდებულ მონაცემებს.

სამინისტროს მიერ თქვენთვის წარმოდგენილ დასკვნებში (წერილი N01/66940 5.09.15) ცალსახადაა მითითებული, ბაზისური სერვისების შესრულების სავალდებულო პერიოდში, რომელი სერვისის მიმწოდებელის თაობაზე არ ფიქსირდება შესაბამის უფლებამოსილ სტრუქტურაში ინფორმაცია იმ სამედიცინო საქმიანობის უფლებაზე ან სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიწოდებულ სერვისზე, რომელთა წარმოება განსაზღვრულია ბაზისური სერვისების ნუსხით.

გ) მე-11 პუნქტი ,,სამედიცინო ტრანსპორტირებას და სასწრაფო სამედიცინო მომსახურება“ შედგება ორი ნაწილისგან: 1) ,,სამედიცინო ტრანსპორტირების და 2) სასწრაფო სამედიცინო დახმარება“. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ვალდებულება სრულდებოდა ყველა „მყიდველის“ მიერ, რაც შეეხება „სამედიცინო ტრანსპორტირებას“, როგორც დანართებიდან ჩანს, სრულდებოდა სულ რამდენიმე ოპერატორი კომპანიის მიერ.

რაც შეეხება „მყიდველებს“ ეკისრებათ თუ არა პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, მოგახსენებთ, რომ 2012, 2013, 2014 და 2015 წლების ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები შეიცავს ჩანაწერს: ვაუჩერით დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში აღებული პასუხისმგებლობის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიმწოდებელი ვალდებულია, 2 თვით ადრე აცნობოს განმახორციელებელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმწოდებლის სტატუსის შეწყვეტას ადგილი აქვს მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზით, ან არსებობს ახალ ან არსებულ მიმწოდებელსა და სახელმწიფოს შორის ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს ამ მიმწოდებელი დაწესებულების ვალდებულებას, უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების უწყვეტობა. ხელშეკრულების შესრულებისათვის ან ვაუჩერის პირობებზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელი იხდის ჯარიმის სახით სარევიზიო პერიოდში (2012-2014 წ.წ.)/ბოლო ერთი წლის განმავლობაში (2015 წ.) განმახორციელებლის მიერ ანაზღაურებული თანხის 10%-ს. ხელშეკრულების მოშლა ან პროგრამაში მონაწილეობაზე უარი მიმწოდებელს არ ათავისუფლებს საჯარიმო სანქციების შესრულებისაგან. თუ „მყიდველი“ არ მონაწილეობს სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში, მასზე სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები არ ვრცელდება.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, 2015 წლის 1 აპრილს სს „ზუგდიდის მრავალპროფილიანმა კლინიკურმა საავადმყოფო „რესპუბლიკამ“ შეტყობინება გააკეთა (წერილი N1941; 01.04.2015) სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოში“ „სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების სახელმწიფო პროგრამის, სამედიცინო ტრანსპორტირების რეფერალური დახმარების კომპონენტიდან მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან გასვლის შესახებ, თუმცა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 დეკემბრის N650 დადგენილებით, აღნიშნულის შესახებ 2 თვით ადრე უნდა ეცნობოს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს.

ამავე დროს, სს სამედიცინო კორპორაცია ევექსისმა მიმდინარე წლის 1 მაისს შერწყმის გზით მიიერთა სს „ზუგდიდის მრავალპროფილიანი საავადმყოფო „რესპუბლიკა“ და გახდა პირველ მაისამდე წარმოშობილი/არსებული ყველა ვალდებულების შესრულებაზე სრულად პასუხისმგებელი სუბიექტი. მიუხედავად ამისა, მის მიერ შევსებულ „განაცხადის“ ფორმაში აღარ არის მონიშნული „სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების სახელმწიფო პროგრამის, სამედიცინო ტრანსპორტირების რეფერალური დახმარების კომპონენტი, რაც ნიშნავს, რომ დაწესებულება არ არის აღნიშნული კომპონენტის მიმწოდებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს ,,სამედიცინო კორპორაცია ევექსს“, როგორც სს ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო ,,რესპუბლიკას“ უფლებამონაცვლე/სამართალმემკვიდრეს, დაეკისრა საჯარიმო სანქცია, N650 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების“ სახელმწიფო პროგრამის, სამედიცინო ტრანსპორტირების რეფერალური დახმარების კომპონენტის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 10%–ის ოდენობით.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე